



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 132

2015 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი 2015 წლის 16 სექტემბერს;
2. დამტკიცდეს 2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფია ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თეა მუავანაძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. სეზონური სკოლების/ბანაკების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).
2. კონკურსის მიზნებია: ახალგაზრდა მეცნიერთათვის და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სეზონური სკოლების/ბანაკების ორგანიზება და არსებულ სეზონურ სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა; ქართული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვა, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევის მეთოდებში ტრენინგის, ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება; საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.
3. უპირატესობა მიენიჭება საკონკურსოდ წარმოდგენილი სეზონური სკოლის/ბანაკის განაცხადს (შემდგომში პროექტს), რომელიც:
 - ა) ორიენტირებულია კვლევის მეთოდებისა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად;
 - ბ) ითვალისწინებს სტუდენტთა (მაგისტრანტი, დოქტორანტი) და ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრი ან დოქტორი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო შვიდი წლის პერიოდში) ჩართულობას;
 - გ) ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას და კონკრეტულ თემებზე/პრობლემებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებას;
 - დ) წახალისებს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას;
 - ე) ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების პროექტში ჩართულობას;
 - ვ) ითვალისწინებს თანადაფინანსებას.

2. კონკურსის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში ფინანსდება სეზონური სკოლები შემდეგ მიმართულებებში:
მიმართულება 1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების სეზონური სკოლა.

მიმართულება 2. სამეცნიერო სეზონური სკოლა, რომლის მიმართულება შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და